სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბრძანება № NCDC 6 22 00000073

ქ. თბილისი 14/11/2022 **წელი**

„გრიპის სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიური პრიორიტეტული ჯგუფების ნუსხისა და ვაქცინაციის ჩატარების წესის შესახებ“ სსიპ.ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2022 წლის 7 სექტემბრის № NCDC 0 2200000031 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „გრიპის სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიური პრიორიტეტული ჯგუფების ნუსხისა და ვაქცინაციის ჩატარების წესის შესახებ“ სსიპ- ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2022 წლის 7 სექტემბრის № NCDC 0 22 00000031 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და **1**[1] პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1[1]**.** ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული 2022-2023 წლების გრიპის სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიური პრიორიტეტული ჯგუფების გარდა, 5 ნოემბრიდან 22 ნოემბრის ჩათვლით, ვაქცინაციას დაექვემდებაროს საქართველოს მოქალაქეობის მქონე ნებისმიერი პირი 6 თვის ასაკიდან.

2. დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ.ებანოიძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების გამოქვეყნება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.ncdc.ge.

3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
თამარ გაბუნია

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად